ლევან მახაშვილი

ეროვნული იდენტობისა და ისტორიის წერის პოლიტიკური მშენებლობა: ჩეხეთის რესპუბლიკისა და სლოვაკეთის მაგალითები

1. შესავალი

„მეხსიერება არასოდეს ყალიბდება ვაკუუმში; მეხსიერების მოტივები
არასოდეს არის წმინდა“ (James Young, in Ebenshade, 1995).

1989 წლის ხავერდოვანი რევოლუციისა და თანმდევი 1992 წლის ხავერდოვანი განცალკევების შემდეგ, ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვაკეთს თავიანთ კომუნისტურ წარსულთან მოუხდათ გამკლავება, იმ წარსულთან, სადაც ტოტალიტარულმა რეჟიმმა თავისი არსებობის ლეგიტიმაციის მიზნით (ხელახლა) ჩამოაყალიბა კონკრეტული ეროვნული იდენტობა. ამ პერიოდში საკუთარი ქმედებებისთვის საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად, კომუნისტების მიზანი ხალხის გონების მობილიზება და მათზე ზეგავლენის მოხდენა იყო. პოლიტიკურმა და საგანმანათლებლო ელიტებმა განსხვავებული კოლექტიური მეხსიერების და იდენტობის ფორმირება განახორციელეს.

ამ კონტექსტში, ნაშრომში გამოკვლეულია ხავერდოვანი რევოლუციის წინამდებარე და მომდევნო პერიოდები და ამ პერიოდებში ჩამოყალიბებული შესაბამისი იდენტობები. კვლევაში ყურადღებას ვამახვილებ განსხვავებული ეროვნული იდენტობების შესაქმნელად და მათი ლეგიტიმაციისთვის ისტორიის ხელახალი გადაწერის საშუალების გამოყენებაზე. კვლევის მთავარი კითხვა დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ ხდებოდა ისტორიის გამოყენება ოფიციალური წყაროების მიერ: *როგორ ჩამოაყალიბა პოლიტიკურმა ელიტამ ჩეხური, სლოვაკური და ჩეხოსლოვაკური ეროვნული იდენტობები საკუთარი ქმედებების ლეგიტიმაციისთვის?* კვლევაში აქცენტს ვაკეთებ ჩეხურ, სლოვაკურ და ჩეხოსლოვაკურ იდენტობებზე და თითოეული მათგანის შემთხვევაში ვაანალიზებ შესაბამის გამოყენებულ ენას და კონსტიტუციას.

ამ თემის მიზანი არ არის ზემოაღნიშნული პროცესის სიკარგის და სიცუდის შეფასება ან ისტორიის რომელიმე პერიოდში ცალკეული სახელმწიფოს ქმედებების გაკრიტიკება. არამედ, ამ კვლევის მიზანია ჩეხეთის რესპუბლიკისა და სლოვაკეთის მაგალითებზე დადასტურება აკადემიურ წყაროებში ფართოდ გაზიარებული მოსაზრებისა, რომ ეროვნული იდენტობის მშენებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიის პოლიტიკურ (რე-)ინტერპრეტაციასთან და რომ შესაბამისად, იგი გავლენას ახდენს ისტორიის წერის პროცესზე.

2. კონცეპტუალური ნაწილი

2.1. იდენტობის განსაზღვრის მცდელობა: იდენტობა – კონცეპტუალური სიძნელე

„იდენტობები... არ არის ის, რაზეც ჩვენ ვფიქრობთ, არამედ ის,
რასთან ერთადაც ჩვენ ვფიქრობთ“ (Goff & Dunn, 2004, გვ. 1)

როგორც ზემოხსენებული ფრაზა მეტყველებს, იდენტობა, როგორც კონცეფცია, ადამიანური თვით-გააზრების და ცხოვრების ბევრი ასპექტის მნიშვნელოვანი ელემენტია. თუმცა, მისი ზუსტი მნიშვნელობისა და კონკრეტული განსაზღვრების ჩამოყალიბება საკმაოდ რთულია. იდენტობის საზოგადოდ მიღებული განსაზღვრება ეკუთვნით დოიჩს (1957) („ერთობის შეგრძნება“) და ანდერსონს (1992) („წარმოსახვითი საზოგადოებები“). ამ განმარტებებიდან ნათელია აქცენტი საზოგადოებაზე, ერთობაზე. თუმცა, იდენტობის შესახებ ამ ხშირად გამარტივებული და საკმაოდ ბუნდოვანი იდეების მიღმა საუბარი არ არის იოლი,

თუნდაც იმიტომ, რომ იდენტობის ცნებას არაერთი აკადემიური სფეროს წარმომადგენელი იყენებს და აქედან გამომდინარე, იგი ხშირად სხვადასხვა კონცეფციებთან არის დაკავშირებული.

იდენტობის შესახებ მკაფიო განსაზღვრებებს აკადემიურ წყაროებში უკანასკნელ პერიოდამდე იმდენად იშვიათად ვხვდებით, რომ ზოგიერთი მკვლევარი „განმარტებით ანარქიაზეც" საუბრობს (Abdalel et. al., 2006). მათივე შეფასებით, „სოციალურ მეცნიერებებში იდენტობის კონცეფცია ინსტრუმენტად გამოსაყენებლად იმაზე ფართოა ანალიტიკურად, ვიდრე ამას ადრეული ლიტერატურა იმედოვნებდა" (Abdalel et. al., 2006, გვ. 23). უფრო მეტიც, Brubaker & Cooper თავიანთ კვლევებში აღნიშნავენ, რომ იდენტობის კონცეფციის ბუნდოვანების გამო, „დროა, [იგი] მთლიანად მიეცეს დავიწყებას" (*იქვე,* გვ. 1). თუმცა, აღნიშნული კონცეფციის უარყოფა არ იქნებოდა სწორი იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელ ათწლეულში სოციალურ მეცნიერებებსა და მომიჯნავე სფეროებში საკმაოდ დაიწერა მისი კონცეპტუალიზაციის საკითხზე.

2.2. იდენტობის მახასიათებლები

Abdalel-მა და მისმა კოლეგებმა (2006) ერთ-ერთმა პირველებმა შემოგვთავაზეს იდენტობის უფრო ზუსტი და გამოყენებადი განსაზღვრება. მათ ერთმანეთისგან განასხვავეს შინაარსი და შეთანხმება, როგორც იდენტობის საბაზისო ელემენტები: „შინაარსი აღწერს კოლექტიური იდენტობის არსს... [ხოლო] შეთანხმება გულისხმობს ჯგუფის შიგნით გაზიარებული კატეგორიის შინაარსის თაობაზე თანხმობის ხარისხს" (*იქვე,* გვ. 1).

კიდევ ერთი კონცეპტუალური მიდგომა წამოაყენეს ავტორებმა Goff & Dunn (2004) თავიანთ ნაშრომში „იდენტობა და გლობალური პოლიტიკა". აღნიშნულ პუბლიკაციაში მათ ჩამოაყალიბეს იდენტობის ოთხი ფუნდამენტური მახასიათებელი: განსხვავებადობა, მრავალფეროვნება, მოქნილობა, შექმნადობა (გვ. 4). პირველი, განსხვავებადობა გულისხმობს იდენტობის ურთიერთობით ბუნებას. ნეგატიური ინტეგრაციის იდეა - ეს არის იდენტობის ფორმირება, „იმის წინააღმდეგ, რაც ჩვენ არ ვართ". სხვა სიტყვებით, „ეროვნული იდენტობის ორსახოვანი ბუნება, კერძოდ, მისი შესაძლებლობა, განსაზღვროს თუ ვინ არის გაერთიანების წევრი და ვინ უცხო" (Triandafyllidou, 1998, გვ. 598). აღნიშნული ნეგატიური ინტეგრაციის შედეგად (ხშირად სტერეოტიპულად) ყალიბდება *„'სხვა',* რომელიც წარმოადგენს ყველაფერს უარესს და ნაკლებ მნიშვნელოვანს, ვიდრე *'ჩვენ'*; ზოგჯერ ეს ხდებოდა *სხვის*, როგორც მტრის, განმარტების ჩამოყალიბების საფუძველი" (Jukarainen, 2003, გვ. 219). ამგვარი ნეგატიური იდენტიფიცირება შეესაბამება იდენტობების „საჭიროებას, რომ გადარჩენის მიზნით იყოს მუდმივად საფრთხის და დაცვის ქვეშ" (იქვე, გვ. 218). განსხვავებადობის იდეა დაკავშირებულია *მეორე* ელემენტთან - მრავალფეროვნებასთან. იმის პარალელურად, რომ ვცდილობთ ჩვენი თავის იდენტიფიცირებას *სხვისგან* განსხვავებულად, ჩვენი იდენტობის ფოკუსი იცვლება სიტუაციური კონტექსტის შესაბამისად. ასე მაგალითად, კონკრეტულ სიტუაციაში პიროვნებამ შეიძლება ხაზი გაუსვას მის, როგორც დედის, როლს, სხვა ვითარებაში კი თავისი თავის იდენტიფიცირება გააკეთოს ეროვნული ან ადგილობრივი იდენტობის საფუძველზე. იდენტობების მრავალფეროვნება გულისხმობს, რომ არ არსებობს მხოლოდ ერთი იდენტობა, არამედ რამდენიმე იდენტობა გავლენას ახდენს და განსაზღვრავს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ქცევას. ამავე კონტექსტში ხშირად დგება რომელიმე იდენტობის დომინანტურობის საკითხი.

მესამე, მოქნილობის კონცეფცია გულისხმობს იმ ფაქტს, რომ იდენტობები არ არის ფიქსირებული, ჰომოგენური, მოუქნელი ან მარტივად განსაზღვრადი. პირიქით, იდენტობების არჩევა ან მათი შინაარსი შეიძლება შეიცვალოს დროებით ან მუდმივად. Pierre Bourdieu-ს სიტყვებით, „კოლექტიური იდენტობის მშენებლობა არის პროცესი და არა 'რაღაც [საგანი]' და შესაბამისად იცვლება მუდმივად ძალაუფლების სიმბოლურ-მატერიალური სფეროების შესაბამისად" (Jukarainen, 2003, გვ. 218). თუმცა, ამასთანავე, იდენტობები არის თანმიმდევრული და ხასიათდება ხანგრძლივობის მაღალი ხარისხით.

მეოთხე, Goff & Dunn-ის მიერ აღწერილი ბოლო ელემენტია შექმნადობა. ამ კონტექსტში იდენტობა ხელოვნური ქმნილებაა, რაც ჩამოყალიბებულია განსხვავებული საზოგადოებრივი აქტორების მიერ. „ტრადიციის გამოგონების" კონცეფცია აღწერს ამ მშენებლობას. ე.წ. მეხსიერების სივრცედ ('Lieux de Mémoire') (Nora, 2001) მიიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები და ადგილები ერისთვის, სახელმწიფოსთვის ან ნებისმიერი სხვა ჯგუფისთვის. 'Lieux de Mémoire'-ის კონცეფცია აჩვენებს, რომ ისტორია თავად არის შექმნილი, ვინაიდან (ოფიციალური) ისტორიის წერისას ხდება ცალკეული მოვლე-

ნების ხაზგასმა, სხვების კი - იგნორირება. როგორც ვხედავთ, იდენტობა და ისტორია მჭიდროდ არიან დაკავშირებული და თითქმის წარმოუდგენელია მათი განცალკევება.

ამჟამად, ეროვნული იდენტობა, ალბათ, ყველაზე ძლიერი იდენტობაა და წარმოადგენს განსხვავებადობის, მრავალფეროვნების, მოქნილობისა და შექმნადობის ისტორიული გამოყენების მთავარ მაგალითს. შემდეგ თავში განხილულ იქნება ეროვნული იდენტობებისა და ერი-სახელმწიფოს კონტექსტში მისი როლი. ამ მიზნით, იდენტობის პოლიტიკის მთავარი წყაროებია ისეთი ოფიციალური დოკუმენტები, როგორებიც არის, მაგალითად, კონსტიტუციები, სტატისტიკური მონაცემები და პოლიტიკური სიტყვით გამოსვლები.

2.3. ისტორიის გამოყენება ეროვნულ იდენტობებში

იდენტობის პოლიტიკა, ანუ 'აფექტური განზომილება' (Laffan, 1996, გვ. 83), თანამედროვე სახელმწიფოს ისტორიაში მნიშვნელოვანი ელემენტია. ნაციონალიზმის, პატრიოტიზმისა თუ „საკუთარ ქვეყანასთან მჭიდრო კავშირის" სხვა ფორმით (Jukarainen, 2003, გვ. 219), ეროვნული იდენტობა ყოველთვის წარმოადგენდა ყველაზე წარმატებული პოლიტიკური პროდუქტის - ერი-სახელმწიფოს - ლეგიტიმაციის ფაქტორს. ანდერსონის (1992) ცნობილი პუბლიკაცია ერებზე, როგორც წარმოსახვით საზოგადოებებზე, კარგად აღწერს ამ იდეას. აგრეთვე, თუ იდენტობის მშენებლობის მეორე მხარეს შევხედავთ, მნიშვნელოვანია მონაწილე აქტორების საკითხი. როგორც Jukarainen (2003) განმარტავს, „ერის მშენებლობა და ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბება წარმოადგენდა კონკრეტული ინტელექტუალური უმცირესობის, პოლიტიკურად გავლენიანი ელიტის საქმიანობის სფეროს" (გვ. 219). ნათელია, რომ ისტორიის წერა საჭიროებს ისტორიკოსებს, როგორც აკადემიურ/საგანმანათლებლო ელიტას, რომლებიც ისტორიას აყალიბებენ მიუკერძოებლად, კვლევით-სამეცნიერო საქმიანობაზე დაფუძნებით, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე (Karlsson, 2007, გვ. 8-9). თუმცა, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ კომუნისტურ რეჟიმებში, ისტორიკოსები სახელმწიფოს ემსახურებოდნენ მათი იდეოლოგიური დღის წესრიგის მხარდაჭერით და თავიანთ ისტორიულ ნაშრომებში ისტორიის მხოლოდ კონკრეტულ პერიოდებზე ფოკუსირებით. შესაბამისად, ისტორიას აქვს პოტენციალი იმის, რომ გახდეს პოლიტიზებული და მანიპულაციის საგანი და ჩანაცვლდეს პოლიტიკური სიმართლით (Karlsson, 2007, გვ. 9). ამ გაგებით, ისტორიის წერა ხშირად წარმოადგენს მომავალი თაობებისთვის წარსული მოვლენების შესახებ მისაღებ სიმართლეს. ეს მოიცავს ისტორიის იდეოლოგიურ გამოყენებას, სადაც ეროვნული იდენტობების ფორმაციის პროცესში ისტორიის დიდებული ნარატივი უფრო მეტ ღირებულებას იძენს, გვთავაზობს „ეთნიკური ცნობიერებისა და ეროვნული დამოუკიდებლობების შესახებ ათასწლოვან პერსპექტივებს" და ეფუძნება ლეგიტიმაციის შენარჩუნებისთვის საჭირო ფასეულობებს (Karlsson, 2007, გვ. 12). შესაბამისად, ისტორიის კონკრეტულ პერიოდებსა თუ დიდებულ ნარატივებზე კონცენტრირებას მობილიზებისა და გავლენის მოხდენის ფუნქცია გააჩნია.

მეორეს მხრივ, ისტორიის არგამოყენება ასევე თამაშობს ლეგიტიმაციის ფუნქციას, კერძოდ, ხდება უკანონო მოქმედებების რაციონალიზაცია და ისტორიის ცალკეული მომენტების სრული იგნორირება, რაც ხელს უწყობს ადამიანების კოლექტიურ მახსოვრობაში ასეთი მოვლენების შესვლის თავიდან არიდებას (Karlsson, 2007, გვ. 13). Wingfield (2000) ასეთ პროცესს უწოდებს კოლექტიურად ორგანიზებულ დამახსოვრებას და დავიწყებას (გვ. 246). აქედან გამომდინარე, მეხსიერებების საერთო ჯამი აყალიბებს სოციალურ ნაშენს, მნიშვნელოვან ნაწილს კოგნიტური და ემოციური ჩარჩოების, რომლებიც „მარტივად შეიძლება შეიცვალოს, იქნას მანიპულირებული და მობილიზებული კოლექტიურ დონეზე" (Karlsson, 2007, გვ. 10).

კოლექტიური იდენტობის მხარდაჭერის პროცესში, ელიტებისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს კონსტიტუციები. როგორც McGoldrick (2000) აღნიშნავს, „კონსტიტუციები და საერთაშორისო სამართალი გამოიყენება ეროვნული იდენტობისა ან იდენტობების შენარჩუნებისთვის" (გვ. 13). უფრო მეტიც, მისი შეფასებით, კონსტიტუციის განმარტება სასარგებლო შეიძლება იყოს აღნიშნულის საკითხის უკეთ გააზრებისთვის:

> „კლასიკური გაგებით, კონსტიტუციები წესრიგებისა და ფასეულობების გამოხატულებებია. ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს, მისი ხალხის ან ხალხების და მოქალაქეების განსაზღვრის დოკუმენტს. კონსტიტუცია ოფიციალურად აყალიბებს სუვერენიტეტს. ის ხშირად არის ეროვნული იდენტობისა და ამ კონცეფციისადმი ეროვნული აკვიატების ასახვა. ახალი სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი საჭიროებაა მისი კონსტიტუციის მიღება" (გვ. 14).

მსგავსად, პოლიტიკური სიტყვით გამოსვლები აქტიურად ასოცირდება იდენტობასთან. იგი წარმოადგენს იდენტობის მანიფესტაციას და მაფორმირებელ ფაქტორს: „დისკურსის გამოყენებით, სოციალური აქტორები ფორმირდებიან როგორც ცოდნის, სიტუაციებისა და სოციალური როლების, ასევე, იდენტობების, სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებსა და მათთან ინტერაქციაში მყოფთა შორის პერსონალური ურთიერთობების ობიექტები". ამასთან დაკავშირებით, Wodak და მისი კოლეგები (2009) გვთავაზობენ რამდენიმე გზას, რისი გამოყენებითაც სიტყვით გამოსვლები აყალიბებენ სოციალურ რეალობებს, მათ შორის, ჯგუფებისა და ურთიერთობების დაფუძნება და გაუქმება (გვ. 8). თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია, რომ

> „ეროვნული იდენტობის დისკურსიული მშენებლობის ანალიზის... ფუნქცია არის (1) პოლიტიკასა და მედიაში იმ მანიპულაციური მანევრებისთვის ფარდის ახდა, რომლებიც ადამიანების დისკრიმინაციულ განდევნას ან ლინგვისტურ ჰომოგენიზაციას ისახავს მიზნად; (2) ცნობიერების ამაღლება იმ რიტორიკულ სტრატეგიებზე, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული პოლიტიკური რწმენების, ფასეულობებისა და მიზნების თავს მოსახვევად; (3) ერის მეტწილად წარმოსახვით ხასიათზე, ერისა და ეროვნული იდენტობის დოგმატურ, ესენციალისტურ და ნატურალიზებულ კონცეფციებზე მეტი ინფორმაციის მიღება" (გვ. 9).

საერთო ჯამში, ისტორიის ფუნქცია იმ ისტორიული ცნობიერების ფორმირებაა, რისი დაცვაც ღირებულია, როგორც კოლექტიური მეხსიერება ან კოლექტიური ეროვნული იდენტობა, სადაც პირები, პერიოდები და ადგილები ადამიანს აკავშირებს ისტორიულ ნარატივთან. როგორც ვხედავთ, „ერი სახელმწიფო განვითარდა არა მხოლოდ როგორც საზღვრის შექმნის ან შენარჩუნების საშუალება, არამედ ასევე როგორც სიმბოლოებისა და გაზიარებული იდენტობის სისტემა" (Laffan, 1996, გვ. 84). ოფიციალური სიტყვით გამოსვლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღნიშნულ გაზიარებულ იდენტობაზე. მომდევნო ორი თავი აანალიზებს სწორედ იმას, თუ როგორ იყენებდნენ ელიტები ზემოხსენებულ ინსტრუმენტებს ჩეხოსლოვაკეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის იდენტობის მშენებლობის ისტორიულ პროცესში.

3. ისტორიის წერა სლოვაკეთში

3.1. შესავალი

ამ თავში განვიხილავ ისტორიის კონკრეტულ პერიოდებს და ვაჩვენებ, რომ ეროვნული იდენტობის მშენებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიის პოლიტიკურ (რე-)ინტერპრეტაციასთან და შესაბამისად, გავლენას ახდენს ისტორიის წერის პროცესზე. აღნიშნული საკმაოდ პოპულარული იყო და პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების მიერ გამოიყენებოდა, როგორც ერთ-ერთი საბაზისო ინსტრუმენტი სლოვაკეთში იმ მიზნით, რომ მოეხდინათ საკუთარი ქმედებებისა და საქციელის ლეგიტიმაცია და გაეძლიერებინათ თვითშეგნება და სლოვაკი მოსახლეობის თვით-იდენტობა.

შემდეგი თავი, რომელიც ეხება სლოვაკეთის ეროვნული იდენტობის ფორმირებას, სტრუქტურირებულია შემდეგნაირად: თანამედროვე სლოვაკეთის ეროვნული იდენტობის ფორმირებისთვის გადაწყვეტი მომენტი იყო კომუნიზმის დანგრევა 1989 წელს. ამ დროს სლოვაკეთმა მოიპოვა ავტონომია და დამოუკიდებელ ერად აღიარება, რასაც მოჰყვა ერი-სახელმწიფოს ფორმალური პოლიტიკური დამოუკიდებლობა 1992 წელს. შესაბამისად, სლოვაკეთის მაგალითი დაყოფილია ორ ნაწილად - ხავერდოვან რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ პერიოდებად. ხავერდოვან რევოლუციამდე ნაწილი მოიცავს შემდეგ საკითხებს - პირველი, მოკლედ განვიხილავ 19-ე საუკუნიდან პირველ მსოფლიო ომამდე პერიოდს, ძირითადად ძლიერი უნგრული გავლენის წინააღმდეგ ნეგატიურ ინტეგრაციაში ლინგვისტური კულტურის კონტექსტში. მეორე, მიმოვიხილავ პირველი მსოფლიო ომიდან კომუნიზმის დამკვიდრებამდე პერიოდს, როდესაც ჩეხოსლოვაკიზმი (ჩეხოსლოვაკეთის ოფიციალური დოქტრინა) იყო ცენტრალური ფოკუსი კონსტიტუციაში, ოფიციალურ სტატისტიკებსა და კვლევით ნაშრომებში. და მესამე, გავაანალიზებ კომუნისტურ ერას. ხავერდოვანი რევოლუციის შემდგომი პერიოდის შესახებ ნაწილში კი ყურადღებას გავამახვილებ იმ არგუმენტზე, რომ დამოუკიდებლობამდე ცოტა ხნით ადრე დაწყებული პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნულ იდენტობაზე გრძნობების გაღვივებას, ხელოვნურად იყო შექმნილი სლოვაკეთის მთავრობის მიერ. და ბოლოს, აღნიშნულ ნაწილს დავასრულებ დამოუკიდებელ სლოვაკეთში იდენტობის გამოხატულებების განხილვით.

3.2. ხავერდოვან რევოლუციამდე

სლოვაკური იდენტობის ჩამოყალიბებაში ენისა და დამოკიდებულებების მნიშვნელობა

ამ პერიოდის პროცესებისთვის რელევანტურია სლოვაკური ენის კოდიფიკაციისა (19-ე საუკუნე) და უნგრელებისადმი სლოვაკების დამოკიდებულების მაგალითები. ორივე მათგანი მჭიდროდ არის დაკავშირებული ე.წ. მაგიარიზაციის პროცესთან, რომლის მიზანი იყო უნგრეთის სამეფოში არაუნგრელი უმცირესობების ასიმილაცია. სლოვაკური ენის კოდიფიკაციის მთავარი მიზეზი იყო გაქრობისა და უნგრულ კულტურაში ასიმილაციისგან სლოვაკური კულტურის გადარჩენა. შედეგად, სლოვაკებში განვითარდა მაგიარებზე (უნგრელებზე) აღმატებულობის გრძნობები. სლოვაკმა ინტელექტუალებმა მოახდინეს ენის კოდიფიცირება ანუ უნგრულისგან სლოვაკურის ლინგვისტური დაშორება. უნგრელებთან მიმართებაში ნეგატიური ინტეგრაციის პროცესში, ელიტებმა ხელოვნურად გამოიგონეს უნგრელებისადმი სლოვაკების დამოკიდებულება. ამგვარი ხელოვნური ლინგვისტური და ქცევითი დაშორება მიზნად ისახავდა უნგრული მმართველობის ქვეშ სლოვაკებს შორის კოლექტიური იდენტობის შექმნას. სხვა სიტყვებით, უკვე 19-ე საუკუნეში, სლოვაკმა ელიტებმა შექმნეს ლინგვისტური დიფერენციაცია, რაც შეიძლება გავიგოთ, როგორც იდენტობის ჩამოყალიბების სინთეტიკური ფორმა.

ჩეხოსლოვაკეთი პირველი მსოფლიო ომიდან კომუნიზმამდე

სლოვაკებისა და ჩეხების ორი ეთნიკური ჯგუფების გაერთიანებისა და ახალი სახელმწიფოს ეფექტურად მართვის მიზნით, ახლადჩამოყალიბებული ქვეყნის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს ერთი ეროვნული იდენტობისთვის ესაჭიროებოდა ერთიანი იდეოლოგია. შესაბამისად, ჩეხოსლოვაკეთის შექმნის მომენტიდან, მთავრობამ დაიწყო „აგრესიული“ ჩეხოსლოვაკური რიტორიკა და არ დააკლო მცდელობები იმისთვის, რომ „ცხოვრებაში გაეტარებინა ორი ხალხისგან შემდგარი ერთი ჩეხოსლოვაკური ერის კონცეფცია“ (Bakke, 2004, გვ. 25). ეს მცდელობები ნათლად არის ასახული ჩეხოსლოვაკეთის ოფიციალურ დოკუმენტებში, მათ შორის, კონსტიტუციასა და სტატისტიკაში, ასევე, კვლევით ნაშრომებში.

<u>კონსტიტუცია და ენა</u>

ჩეხოსლოვაკეთის 1920 წლის კონსტიტუციის ფრაზა „ჩვენ, ჩეხოსლოვაკი ერი“ მიანიშნებს იმას, რომ ლიდერები უმაღლეს სამართლებრივ დონეზე შეეცადნენ ახალი ქვეყნის ჩამოყალიბების ლეგიტიმაციას იმ მიზნით, რომ საერთო ერში გაეერთიანებინათ ჩეხი და სლოვაკი ხალხი. ენასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკისტები მიიჩნევდნენ, რომ ერთ ერს არ შეეძლო ჰქონოდა ორი ენა, ამიტომ ისინი ხშირად ზღუდავდნენ სლოვაკური ენის როლს და სანაცვლოდ, „ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, თუ როგორც გადარჩა ეროვნული ერთობა ლინგვისტური დაშორების მიუხედავად“ (Bakke, 2004, გვ. 34). ელიტების სხვა ნაწილს სლოვაკური ხელოვნურად შექმნილ ენად მიაჩნდა. მათი აზრით, იგი მაგიარიზაციის პოლიტიკაზე საპასუხო შედეგი იყო და საფუძველში არ ედო არსებითი კულტურული სხვაობა. სლოვაკი ნაციონალისტები მკაცრად ეწინააღმდეგებოდნენ ისტორიის ამგვარ ინტერპრეტაციას. მათი რწმენით, „სლოვაკური [ენის] კოდიფიცირება ბუნებრივი [ეროვნული] განვითარების მხოლოდ ბოლო ეტაპი იყო“ (Bakke, 2004, გვ. 35).

<u>სტატისტიკა და აკადემიური გამოყენება</u>

1921 (და მოგვიანებით, 1930) წლის მოსახლეობის აღწერაში, რომელიც წარმოადგენდა ოფიციალურ ჩეხოსლოვაკურ სტატისტიკას, ტერმინი „ჩეხოსლოვაკი“ პირველად დაფიქსირდა „ჩეხისა“ და „სლოვაკის“ გვერდით. ჩეხებისა და სლოვაკების ერთიან ჩეხოსლოვაკ ერად წარმოდგენის ამგვარი ქმედებები ფართოდ იყო გავრცელებული სხვა ოფიციალურ ჩეხოსლოვაკურ სტატისტიკურ დოკუმენტებშიც (Bakke, 2004, გვ. 27).

მკვლევარებს ასევე შეჰქონდათ წვლილი ჩეხოსლოვაკური ეროვნული იდენტობის მშენებლობის პროცესში. ისინი მიუთითებდნენ ისტორიის მანძილზე ორ ხალხს შორის გაზიარებულ ფასეულობებსა და კონტაქტებზე. უფრო მეტიც, დიდი მორავია წარმოდგენილი იყო, როგორც ჩეხოსლოვაკეთის წინა-

პარი და ერთიანი სახელმწიფოებრიობის კულტურული საფუძველი (Bakke, 2004, p. 29). შესაბამისად, ისტორიის მშენებლობა შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ორივე ერის გამაერთიანებელი ფაქტორი.

მართლაც, ზემოაღნიშნული ინტერპრეტაციები გამოიყენებოდა ერთიანი ჩეხოსლოვაკური იდენტობის ფორმირების მხარდასაჭერად. შედეგად, ჩეხოსლოვაკიზმის იდეოლოგია იყო წმინდა პოლიტიკური პროექტი და ჩეხოსლოვაკურ დრამაში გააჩნდა ორი როლი: პირველი, ახალი ერი-სახელმწიფოს შექმნის ლეგიტიმაცია; და მეორე, მსხვილი გერმანული და უნგრული უმცირესობების მიმართ ჩეხებისა და სლოვაკების პოზიციების გამყარება. საერთო ჯამში, მისი ფუნქცია იყო ჩეხოსლოვაკური ეროვნული იდენტობის გაძლიერება.

კომუნიზმი

ზოგადად, კომუნისტური რეჟიმის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი სწორედ პოლიტიკური მიზნებისთვის ისტორიის გადაწერის მცდელობებია. ამ მხრივ არც სლოვაკეთი ყოფილა გამონაკლისი. ყველაფერი, რაც მიუღებელი იყო კომუნისტებისთვის, დაძალებით ან ნებაყოფლობით შეიცვალა, გადაიწერა, სხვანაირი ინტერპრეტაცია მიეცა. ჩეხოსლოვაკიზმი და ჩეხოსლოვაკური იდენტობა რადიკალურ წინააღმდეგობაში მოდიოდა კომუნისტურ იდეოლოგიასთან, ამიტომ ეს ტერმინები გაუჩინარდა ოფიციალური განცხადებებიდან და ტერმინოლოგიიდან. ძალაუფლებაში კომუნისტების მოსვლიდან, „ჩეხოსლოვაკი“ როგორც ეროვნულობის კატეგორია, წაიშალა ყველა კომუნისტურ სტატისტიკაში. ჩეხოსლოვაკიის 1920 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, სადაც ეწერა „ჩვენ, ჩეხოსლოვაკი ერი“, 1960 წლის კონსტიტუცია იწყება შემდეგი სიტყვებით „ჩეხოსლოვაკეთის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხი“. ეს ცვლილება აჩვენებს, თუ როგორ იყენებდნენ სხვადასხვა რეჟიმები ოფიციალურ დოკუმენტებს ხალხის იდენტობაზე გავლენის მოხდენისა და თავიანთი ძალაუფლების ლეგიტიმაციისთვის.

კომუნისტებისთვის კიდევ ერთი დამახასიათებელი ასპექტი იყო „არასასურველ“ მკვლევარებსა და ინტელექტუალებზე ზეწოლა. ამის საილუსტრაციოდ ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითია ლუდოვიტ შტური, რომელმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანა სლოვაკური ეროვნული იდენტობის მშენებლობაში. კომუნისტური რეჟიმისთვის მისი პოზიციის მიუღებლობის გამო, აიკრძალა მისი ნაშრომები (Skobla, 2001, p. 184-185). თუმცა, ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ „შტურისადმი [კომუნისტური] რეჟიმის იდეოლოგიური პოზიცია ერთგვარად გაურკვეველი იყო“ (Bombik, 1995 in Skobla, 2001, p. 186), ვინაიდან ცალკეულ შემთხვევებში მისდამი ტოლერანტული დამოკიდებულება არსებობდა. როგორც Skobla (2001) ასკვნის, ეს არის „პროპაგანდის კონვენციური პრაქტიკა - რაც რეჟიმისთვის არაკომფორტული აღმოჩნდებოდა, ხდებოდა მისი უბრალოდ იგნორირება“ (გვ. 187). ერთი სიტყვით, ცალკეული მკვლევარების ნაშრომების და მათი ნარატივების ხაზგასმა და ამავე დროს სხვათა აკრძალვა არის კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, თუ როგორ მანიპულირებდა კომუნისტური მთავრობა ისტორიული ფაქტებით და როგორ იყენებდა ამ ყველაფერს საკუთარი დღის წესრიგისთვის.

3.3. ხავერდოვანი რევოლუცია და შემდგომი პერიოდი

„ხავერდოვან გაყრამდე“

1990-იანი წლების დასაწყისში, სლოვაკეთის დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლა არ იყო სეესეციის პროცესის ერთადერთი მოვლენა. ამ პერიოდში აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური ბლოკის რღვევა და საბჭოთა კავშირის დაშლა თავის პიკში იყო. პოსტკომუნისტური იდეოლოგიისა და იდენტობის მშენებლობის პროცესი ფართოდ გავრცელდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (Esbenshade, 1995). სლოვაკეთი არც ამჯერად იყო გამონაკლისი: იგრძნობოდა უფრო დიდი სახელმწიფოსგან კულტურული, ეთნიკური და ეროვნული განსხვავებადობის გრძნობები, ნაციონალისტური მოძრაობები და ტერიტორიული განცალკევება. ერთი სიტყვით, დამოუკიდებლობის შემდეგ ეროვნული იდენტობის აქტიური მხარდაჭერის გაგრძელება აღმოჩნდა იდენტობის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პროცესი. ტრანზიციის მშვიდობიანად დასრულების სურვილის საფუძველზე, ჩეხმა და სლოვაკმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა მიაღწია კომპრომისს - ე.წ. „ხავერდოვან გაყრას“. თუმცა, საინტერესოა, როგორ მოხდა ამ პროცესში ჩეხებისგან განსხვავებული სლოვაკური ეროვნული იდენტობისა და გრძნობების მშენებლობა.

1989 წლის ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ გაუარესდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მთავრობას ვითარების შემსუბუქება ნაციონალისტური იდეების წახალისებით შეეძლო. როგორც Malová and Mego (2000) აღნიშნავენ,

> "[თუ] მოახლოებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის თაობაზე (რეალური თუ წარმოსახვითი) შეხედულება ხალხში საკმარისად ძლიერია, პოლიტიკოსებმა და პოლიტიკურმა ძალებმა ყურადღების გადატანის მიზნით შეიძლება დაიწყონ ნაციონალიზმის იდეების გამოყენება. სანაცვლოდ, ნაციონალიზმის ეს გრძნობები შეიძლება გაძლიერდეს, თუ პოლიტიკური ძალები მას მეტი საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვებისთვის გამოიყენებენ. პოლიტიკურმა ჯგუფებმა და პოლიტიკოსებმა შეიძლება თავისთვის გამოიყენონ ნაციონალისტური საზოგადოებრივი გრძნობები, განსაკუთრებით, როდესაც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კრიზისშია... განტევების ვაცების ძიება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისგან ყურადღების გადატანის ყველაზე მარტივი გამოსავალია, განსაკუთრებით, მრავალეროვან სახელმწიფოში" (გვ. 357-358).

მართლაც, სლოვაკეთის მთავრობამ ეკონომიკის გაუარესებისა და სლოვაკეთში არსებული სხვა სოციალური პრობლემების მიზეზის ძიების პროცესში აქტიურად დაიწყო ჩეხებისგან განტევების ვაცის დახატვა. ლოგიკურია იმის მტკიცება, რომ სლოვაკურმა მთავრობამ სცადა ნაციონალისტური განწყობის ხელოვნურად გაღვივება, ამ პროცესში ეკონომიკური პრობლემების შექმნაში ჩეხების დადანაშაულება და ახალი სლოვაკური ხელისუფლების ლეგიტიმაციისთვის ჩეხებსა და სლოვაკებს შორის განსხვავების ხაზგასმა. ამ მცდელობებმა ხელი შეუწყო სლოვაკური თვით-გამორჩეულობისა და კოლექტიური იდენტობის გრძნობის ჩამოყალიბებას.

„ხავერდოვანი გაყრის" შემდეგ

სლოვაკეთის მთავრობის სტრატეგია არ შეცვლილა დამოუკიდებლობის წლებშიც. თუმცა, ამჯერად მთავარი ფოკუსი არ ყოფილა ეკონომიკური საკითხები. „ხავერდოვანი გაყრიდან" მალევე სლოვაკეთს თავისი ეროვნული იდენტობის გაძლიერება სჭირდებოდა. მართლაც, კომუნიზმის დასრულების, ჩეხოსლოვაკეთის დაშლისა და ჩეხოსლოვაკიზმის გაქრობის შემდეგ, ქვეყანა იდენტობის კრიზისში იყო. სლოვაკური იდენტობა შედარებით სუსტი იყო. ეს პრობლემა განსაკუთრებით რთულად ჩანდა დიდი უმცირესობების არსებობის ფონზე, რომლებიც ძირითადად ქვეყნის სამხრეთში იყვნენ კონცენტრირებული და რომლებიც ქვეყნის ერთიან იდენტობას უქმნიდნენ საფრთხეს. იდენტობის გაძლიერების ყველაზე მარტივი და ფართოდ გამოყენებადი გზა იყო სლოვაკების ფოკუსირება ისტორიასა და სხვა იმ მოვლენებსა და საგნებზე, რომლებიც განადიდებდნენ სლოვაკებს. 1990-იან წლებში პოლიტიკურმა ელიტებმა ყურადღება გაამახვილეს ისტორიაზე, ეთნიკურობაზე, სიმბოლოებზე და ა.შ. მართლაც, როგორც Malová and Mego (2000) ამტკიცებენ,

> "ცალკეული სენტიმენტები და სიმბოლოები ხელს უწყობს ეროვნული იდენტობის გამყარებას. ისინი ხშირად მოიცავენ მითებს, რომლებიც, როგორც წესი, ეხება ტერიტორიას ან წინაპრებს, როგორც პოლიტიკური გაერთიანების საფუძველს" (გვ. 365).

მათ სლოვაკური ეროვნული იდენტობის წახალისება და გაძლიერება დაიწყეს სხვადასხვა გზებით, მათ შორის, ყოფილი ჩეხოსლოვაკიისა და მისი იდეოლოგიის დაგმობით (Malová & Mego, 2000, p. 358). ჩეხოსლოვაკიზმის პერიოდში სლოვაკები ყოველთვის ჩეხებზე აღმატებულად მიიჩნევდნენ თავს და ითხოვდნენ მეტ ავტონომიას. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ სლოვაკები ჩეხოსლოვაკიზმს არ აღიქვამდნენ იდეალური ტიპის იდენტობად.

აღნიშნული ახალი ინტერპრეტაციის გარდა, ეროვნული იდენტობის მშენებლობის განუყოფელ ნაწილად იქცა საკუთარი ისტორიის ხელახალი შეფასება და ცალკეული ისტორიული მოვლენების განდიდება. თანამედროვე სლოვაკურ ვალუტაზე დიდი მორავიის პერიოდთან დაკავშირებული სიმბოლიკის დატანა ამის კარგი მაგალითია. Malová and Mego (2000) აღნიშნავენ, რომ „დღესასწაულები, ჯილდოები, ბანკნოტები", ისევე როგორც „საზოგადოებრივი მონუმენტები, ხალხური ფესტივალები და მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღების აღნიშვნა", რომელიც სლოვაკეთის დამოუკიდებლობის შემდეგ დამკვიდრდა, იყო ახლადჩამოყალიბებული სლოვაკური ეროვნული იდენტობის „ტიპიური გამოხატულებები" და „მხარდაჭერის ფორმები" (გვ. 366). ამავე დროს, ჩეხოსლოვაკეთის პერიოდთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება, სიმბოლო ან მემკვიდრეობა ამოღებულ იქნა ახალი სლოვაკეთის ოფიციალური თუ არაოფიციალური სიმბოლოებიდან (გვ. 369).

ტერიტორიამ და რელიგიამ ასევე ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი იდენტობის მშენებლობის პროცესში. მაგალითად, თანამედროვე სლოვაკეთის დროშაზე სიმბოლურად დატანილია მთები სამი მწვერვალით, რომლებიც სლოვაკური ნარატივის მიხედვით, ისტორიულად მდებარეობდნენ სლოვაკურ მიწაზე. უფრო მეტიც, სლოვაკეთის სახელმწიფო ჰიმნში „ნათელი ტატრებზე" მთავარი ფოკუსი, გარდა ეროვნული მოძრაობისა და გამოღვიძების პერიოდისა, სწორედ ტერიტორიაზეა. ტერიტორიულ ელემენტებთან ერთად, ოფიციალურ სიმბოლიკაში გვხვდება ასევე რელიგიური ნიშნები (მაგალითად, ორმაგი ჯვარი ემბლემაზე), რომლებიც აკრძალული იყო კომუნიზმის დროს და რაც სრულ წინააღმდეგობაშია ძველ ჩეხოსლოვაკურ სიმბოლიკასთან.

კონსტიტუცია

კონსტიტუციამ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში მნიშვნელოვანი სიმბოლური როლი ითამაშა იდენტობის ფორმირებაში. მან დიდი წვლილი შეიტანა ასევე თანამედროვე სლოვაკური იდენტობის ჩამოყალიბებაში. 1992 წლის 1-ელ სექტემბერს მიღებულ სლოვაკეთის ახალი კონსტიტუციის პრეამბულაში ვკითხულობთ:

> "ჩვენ, სლოვაკი ერი, ჩვენი წინაპრების პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობის, ასევე, ეროვნული არსებობისა და ჩვენი საკუთარი სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლაში საუკუნეების გამოცდილების გათვალისწინებით, კირილისა და მეთოდიუსის სულიერი მემკვიდრეობისა და დიდი მორავიის იმპერიის ისტორიული დანატოვარის გრძნობით, ერების თვითგამორკვევის ბუნებრივი უფლებიდან გამომდინარე".

ამ ტექსტში ვხედავთ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს. პირველი, განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფზე აქცენტი გაკეთებულია იმისთვის, რომ ხაზი გაესვას განსხვავებულ სლოვაკურ იდენტობას, რაც, თავის მხრივ, ახდენს სლოვაკური სახელმწიფოებრიობის, დამოუკიდებელი და სუვერენული სლოვაკეთის ლეგიტიმაციას. მეორე, სლოვაკი ერის იდეის გამოყენება (განსხვავებით ძველი „ჩეხოსლოვაკი ერისა") ფოკუსირდება „დიდი მორავიის იმპერიის სულიერ მემკვიდრეობასა და ისტორიულ დანატოვარზე", ასევე, „ეროვნული გადარჩენისა და ჩვენი საკუთარი სახელმწიფოებრიობისთვის [მუდმივ] ბრძოლაზე". ბოლოს, სლოვაკეთის მაგალითი აჩვენებს, თუ როგორ იყენებს პოლიტიკური ისტებლიშმენტი ფაქტების შეცვლას ან ხელახალ შეფასებას და კონკრეტულ მოვლენებზე ფოკუსირებას იდენტობის მშენებლობის პროცესში.

3.4. დასკვნა

ზემოხსენებულმა მაგალითებმა გაამყარეს არგუმენტი, რომ ეროვნული სიმბოლოების, იდეოლოგიის, კონსტიტუციისა და ენის საშუალებით ისტორიის (რე)ინტერპრეტაცია აქტიურად გამოიყენებოდა სლოვაკი აკადემიური და პოლიტიკური ელიტების მიერ იმ მიზნით, რომ შეექმნათ საერთო იდენტობა. თვითმყოფადი და კოლექტიური იდენტობა ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის იდენტობის ფორმირების პროცესში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, სლოვაკური იდენტობა იყო ჩეხოსლოვაკიზმის განუყოფელი ნაწილი. 1989 წლის ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ, სლოვაკებმა ისტორია გამოიყენეს, როგორც დიადი ნარატივების გზით ისტორიული ეროვნული იდენტობის გახსენების საშუალება. სლოვაკეთის პოლიტიკური ელიტა ყველა პერიოდში აქტიურად იყენებდა ისტორიული ფაქტების შეცვლისა და კონკრეტულ სიტუაციებზე მათი მორგების, კონკრეტული რეჟიმისა და ქმედებების ლეგიტიმაციის მიზნით სიმბოლოების, ტრადიციებისა და ოფიციალური დოკუმენტების ცვლილების, ისტორიული მოვლენების განდიდების, ლინგვისტური განსხვავებების ხაზგასმის ან იგნორირების სტრატეგიებსა და ინსტრუმენტებს.

4. ეროვნული იდენტობების პოლიტიკური მშენებლობა ჩეხეთის რესპუბლიკაში

4.1. შესავალი

ჩეხეთის კომუნისტურ წარსულში კომუნისტური პარტია ისტორიის გადაწერის საშუალებით მკაცრად აკონტროლებდა ეროვნული იდენტობის პოლიტიკურ მშენებლობას. ამ პროცესის მიზანი იყო იმ ახალი პოლიტიკური ელიტის არსებობის ლეგიტიმაცია და მისდამი საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება, რომელიც ხელისუფლების სათავეში 1948 წელს, საბჭოთა კავშირის დახმარებით, სამხედრო გადატრიალების გზით მოვიდა. ისტორიის გამოყენებით, სოციალურად ორგანიზებული დავიწყებით (გარიყვით, იგნორირებით, რეპრესიით) და სოციალურად ორგანიზებული დამახსოვრებით (დიადი ნარატივით, გამოგონებით, სიმბოლოებით და სხვა), პოლიტიკური ისტებლიშმენტი შეეცადა, (ხელახლა) შეექმნა ფასეულობების სისტემა და საკუთარი თავის შესახებ პოზიტიური წარმოსახვა. სხვა სიტყვებით, ახალი პოლიტიკური ელიტის მიზანი იყო (შერჩევითად) ცალკეულ ისტორიულ მოვლენებზე, პერიოდებსა და პიროვნებებზე ფოკუსირებით კონკრეტული ჩეხი ცნობიერების ან ეროვნული იდენტობის ფორმირება.

1989 წლის ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ კომუნისტური მმართველობის დასრულებიდან 1992 წლის ხავერდოვან გაყრამდე პერიოდში, ჩეხებს მოუწიათ თავიანთ კომუნისტურ წარსულთან გამკლავება და ახალ პოლიტიკურ რეალობასთან ადაპტირება. ახლადჩამოყალიბებულ ჩეხეთის რესპუბლიკაში ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრებასთან ერთად, პოლიტიკურმა აქტორებმა განაგრძეს ეროვნული იდენტობის მშენებლობა თითქმის ისეთივე მეთოდებით, როგორც ეს ხდებოდა კომუნისტური რეჟიმის დროს. ქვემოთ განხილული მაგალითები ამ არგუმენტის ნათელ დემონსტრირებად შეიძლება ჩავთვალოთ.

4.2. მეორე მსოფლიო ომის დასასრული - რკინის ფარდის ჩამოფარება

დიადი ნარატივი & „სხვას“ ცნება

Karlsson (2007) განმარტავს, რომ „ისტორიის იდელოგიური გამოყენება არ ეფუძნება ფაქტებს..., არამედ დიად ნარატივს“ და მისი მთავარი ფოკუსია პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ხელს უწყობს ახალი ეროვნული იდენტობების საფუძვლის შემქმნელი დიადი ნარატივის ჩამოყალიბებას (გვ. 12). გარდა ამისა, ჩეხური ეროვნული იდენტობა ეფუძნება ასევე „სხვასთან“, მაგალითად, ჩეხოსლოვაკეთში სუდეტელი გერმანელების უმცირესობასთან, დაპირისპირებას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კომუნისტურმა პოლიტიკურმა ელიტამ გამოიყენა გერმანელი ეთნიკური ჯგუფის მიმართ საზოგადოებაში არსებული უარყოფითი გრძნობები. 1938 წლის ნაცისტურ ოკუპაციასთან დაკავშირებით, მათ შექმნეს გერმანელების ნეგატიური იერსახე (Brodsky, 2007, p. 13; Wingfield, 2000, p. 246) და გააჩინეს მიზეზი გერმანელების მასობრივი გაძევებისთვის. სხვა სიტყვებით, კომუნისტურმა პოლიტიკურმა ელიტამ ჩამოაყალიბა „დამაჯერებელი საზოგადოებრივი ნარატივი, რომელიც ‘მისაღებ’ წარსულს აკავშირებდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელახლა ჩამოყალიბებულ სახელმწიფოსთან“ (Wingfield, 2000, p. 246). Wingfield (2000) ეროვნული იდენტობის პოლიტიკური მშენებლობის ამ მეთოდს უკავშირებს სოციალურად ორგანიზებული დავიწყებისა (გაძევება, იგნორირება და რეპრესია) და სოციალურად ორგანიზებული დამახსოვრების (ცნობიერების ელემენტების მიზანმიმართული გამოგონება, ხაზგასმა ან პოპულარიზება) კონცეფციებს. მისი შეფასებით, ყველა დონეზე სამთავრობო პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო ახალი, „უფრო წმინდა“ ომისშემდგომი ჩეხოსლოვაკური ერი-სახელმწიფოს ლეგიტიმაცია (გვ. 246).

შესაბამისად, კომუნისტური პოლიტიკური ელიტის მიზანი იყო გაძევებების პოლიტიკისთვის რაციონალური საფუძვლის შექმნა და ამავე დროს, „სხვის“, სუდეტელი გერმანელების, იერსახის შექმნა ან გაძლიერება. გერმანელების კრიტიკის იდეაზე კონცენტრირების გარდა, ეს სტრატეგია შეგვიძლია დავინახოთ, როგორც კომუნისტური რეჟიმის ამბიციური როლის ზოგადი ლეგიტიმაციის სტრატეგია.

მიუხედავად ამისა, კომუნისტური რეჟიმის მიერ თავისი რეპრესიული ქმედებების ლეგიტიმაციის პროცესი მალევე შეფასდა განსხვავებულად, მათ შორის, ჩეხი ინტელექტუალების წრეში (Updike, 2009).

კონსტიტუცია და ენა

კონსტიტუციები და ენა ასევე რელევანტური ფაქტორებია ჩეხური ეროვნული იდენტობის პოლიტიკური მშენებლობის ანალიზისას. მართლაც, „სუდეტელების" გამოყენების აკრძალვით, „სხვის" დამკვიდრებას ხელი შეუწყეს კომუნისტებმა. 1948 და 1960 წლების კონსტიტუციები ამის კარგი მაგალითებია. ორივე შემთხვევაში გერმანელები არ იყვნენ აღიარებული როგორც საკუთარი უფლებების მქონე ეთნიკური ჯგუფი (Wingfield, 2000, p. 256).

გარდა იმისა, რომ ენა გამოიყენება „სხვასთან" დასაპირისპირებლად, იგი ასევე არის ჩეხური ეროვნული იდენტობის მნიშვნელოვანი ელემენტი. ენა აქტიურად „გამოიყენებოდა და ვითარდებოდა, ჩეხური ისტორიოგრაფიის, ეთნოგრაფიის, მხატვრობისა და ლიტერატურული კრიტიკის პარალელურად" (Vlachova & Rehakova, 2009, p. 255; Bibo, 1998). 1938 წელს, ნაცისტური ოკუპაციის დროს, ჩეხური ენა ჩაანაცვლეს გერმანულით. 1945 წელს, კომუნისტების ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ კი, ბავშვებს სავალდებულო წესით უნდა ესწავლათ რუსული. ჩეხებში ეს აღიქმებოდა როგორც მათ იდენტობასა და გამოხატვის თავისუფლებაზე ზეწოლა.

სიმბოლოები და ღირებულებები

სიმბოლოები და ღირებულებები მახსოვრობის მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენს, რომელთა მიმართებაშიც კოგნიტური ემოციური ჩარჩოები შეიძლება გააქტიურდეს კოლექტიურ დონეზე და შესაბამისად, გამოყენებულ იქნეს სოციალურად ორგანიზებული დამახსოვრების და ეროვნული იდენტობის ხელოვნური ჩამოყალიბებისთვის.

პოლიტიკური ელიტა შეეცადა, შეექმნა ჩეხური ეროვნული იდენტობა, რომელიც მოიცავდა კომუნისტურ ღირებულებებს, მაგალითად, დაგეგმილი ეკონომიკის მქონე მუშათა სახელმწიფო და, შესაბამისად, საბჭოთა კავშირთან მჭიდრო კავშირის ხაზგასმა. ამ მხრივ, საბჭოთა სოციალიზმის გმირები, კერძოდ, მარქსი, ლენინი და სტალინი, კომუნისტური სახელმწიფოს სიმბოლოები იყო. ამავე დროს, მმართველი კომუნისტური რეჟიმის მხარდამჭერი და ლეგიტიმაციის მიმცემი კოლექტიური ისტორიული ნარატივის მშენებლობისთვის, შენარჩუნდა ჩეხური ტრადიციები და ჩეხი გმირები, იმ დროის პოლიტიკური მოღვაწეები კი მაგალითის მიმცემები გახდნენ (Wingfield, 2000, p. 265).

აგრეთვე, პოლიტიკური ელიტა შეეცადა, ჩამოეყალიბებინა დადებითი ურთიერთობა ჩეხებსა და სლოვაკებს შორის (Wingfield, 2000, p. 247). ჩეხებსა და სლოვაკებს შორის პოზიტიური როლის მათ მახსოვრობაში გადასატანად და გაზიარებული კოლექტიური ეროვნული იდენტობის იდეის ხაზგასასმელად, ეს პროცესი განხორციელდა სიმბოლური საშუალებებით, კერძოდ, ახალი ერთობლივი ეროვნული დღესასწაულებით, ახალი საზოგადოებრივი სივრცეებისა და სახელების გამოგონებით, მემორიალური ცერემონიების გამართვითა და ძეგლების აღმართვით (*იქვე*, გვ. 248-249). შედეგად, კომუნისტურმა მთავრობამ შექმნა მახსოვრობის არტეფაქტები, რომლებიც, ბევრი მკვლევარის აზრით, არის „დროთა ცვლილების ჟამს შეცვლის, განადგურების, ჩამოხსნის იდეალური სამიზნეები" (*იქვე*, გვ. 260).

1968 წლის ხავერდოვანი გაზაფხული და მისი მონაწილეები

პრაღის გაზაფხულმა გამოხატა ჩეხების ნამდვილი შეხედულება და დამოკიდებულება კომუნისტური პოლიტიკური ელიტისადმი. ემოციები და გრძნობები, რომელთა კულმინაციაც იყო 1968 წლის პრაღის გაზაფხული, აჩვენა კომუნისტური პარტიული სისტემისადმი, როგორც ძალადობრივი ძალაუფლებისადმი, წინააღმდეგობა (იქვე, გვ. 265). ხავერდოვანი გაზაფხული ასევე არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ კომუნისტურმა რეჟიმმა ვერ შეძლო იდენტობის პოლიტიკით დამაჯერებელი საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება. შედეგად, მოგვიანებით, 1989 წელს „მთავრობის ლეგიტიმაციის სრულმა დაკარგვამ და რაც მთავარია, შესაფერისმა საერთაშორისო ვითარებამ, გააღვივა ხავერდოვანი რევოლუცია" (Baer, 2008, p. 315).

თუმცა, კომუნისტურმა რეჟიმმა განაგრძო ჩეხ მოსახლეობასა და მის ინტელექტუალურ ელიტაზე მკაცრი კონტროლი, რასაც ნათელი შედეგები ჰქონდა ისტორიის წერაზე. ისტორიკოსებმა იგრძნეს სახელმწიფო კონტროლის გავლენა და როგორც Rupnik (1981) განმარტავს, „ოფიციალური ისტორიოგრაფია გადაიქცა მაღალ იდეოლოგიურ ორთოდოქსიად - დამოუკიდებელ ისტორიოგრაფიად" და შედეგად, „ისტორიკოსები გახდნენ ინტელიგენციის პოლიტიკურად ყველაზე დევნილი კატეგორია" (გვ. 166). მათ ან აძევებდნენ კვლევითი ინსტიტუტებიდან, ან იჭერდნენ ციხეში. ამით პოლიტიკურ ელიტას სურდა,

რომ ხავერდოვან რევოლუციამდე არსებული ორი ათწლეულის მოვლენების თაობაზე მათთვის სასურველი ინტერპრეტაცია მომხდარიყო (*იქვე*, გვ. 166).

მეორე მხრივ, ინტელიგენციიდან ამოიზარდა პარალელური საზოგადოება, ე.წ. პარალელური პოლიცია, როგორც მას უწოდებდა ჩეხი ფილოსოფოსი ვაცლავ ბელოჰრადსკი. კერძოდ, ქვეყნის გაზეთები და მედია საჯაროდ კიცხავდა დისიდენტებს ან საერთოდ არ აშუქებდა დაკავებებსა და სასამართლო პროცესებს (Baer, 2008, p. 308). ჩეხეთის ლიტერატურა გახდა „არალიტერატურული მიზნების, ოფიციალური იდეოლოგიის ქების ან გაკიცხვის“ ინსტრუმენტი (Bilek, 2009). ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო ჩეხი მწერალი მილან კუნდერა, რომელიც 1967 წელს მწერალთა თავისუფლებას უწევდა აგიტაციას იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებინა ჩეხური ეროვნული იდენტობა. პრაღის გაზაფხულში მისი მონაწილეობის გამო, მან დაკარგა სამსახური პრაღის ფილმის აკადემიაში და გარიცხულ იქნა კომუნისტური პარტიიდან. უფრო მეტიც, კომუნისტურმა ცენზურამ მისი წიგნები კანონგარეშედ გამოაცხადა. ბოლოს, იგი იძულებული გახდა, 1975 წელს საფრანგეთში წასულიყო იმიგრაციაში (Prague-Life, 2009).

ამ პერიოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პიროვნება იყო ვაცლავ ჰაველი. იგი მხარს უჭერდა დემოკრატიულ ღირებულებებს, სამოქალაქო საზოგადოებას და ახალი და თავისუფალი მოქალაქეობის იდეას. მისი მიზანი იყო ჩეხეთის გარდაქმნა ღია და დემოკრატიულ საზოგადოებად, თავისუფალი პრესითა და დაცული ადამიანის უფლებებით (Rupnik, 2008, p. 5). აქედან გამომდინარე, რეჟიმის სხვა დისიდენტების მსგავსად, ცნობილი ფილოსოფოსი და პიესების ავტორი რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული.

4.3. ცივი ომის დასრულების შემდეგ

1989 წელს კომუნიზმის დანგრევამ ბიძგი მისცა მშვიდობიან გარდაქმნას ტოტალიტარული წყობილებიდან ლიბერალურ დემოკრატიებზე. ამ უკანასკნელისთვის განუყოფელი იყო სამოქალაქო პრინციპზე დაფუძნებული თავისუფლება და დემოკრატია. სწორედ სამოქალაქო პრინციპი იყო პოლიტიკური ელიტის მიერ განხორციელებული ჩეხური ეროვნული იდენტობის ფორმირების მნიშვნელოვანი ელემენტი.

სამოქალაქო პრინციპი და ჩეხეთის კონსტიტუცია

1989 წელს კომუნიზმის დანგრევის შემდეგ, ინტელექტუალებმა, რომლებიც ძირითადად შედგებოდნენ კომუნისტური რეჟიმის ყოფილი დისიდენტებისგან, ჩამოაყალიბეს დემოკრატიული მთავრობა იმ მიზნით, რომ ქვეყანა მოემზადებინათ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი და დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების გზაზე გასავლელად. მათ შორის ყველაზე გამორჩეული ფიგურები იყვნენ ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი, რომელიც სამოქალაქო პრინციპს აქტიურად უჭერდა მხარს (Bryant, 2000). აღნიშნული პრინციპი მალევე გახდა „ჩეხური ეროვნული იდენტობის ხელახალი ჩამოყალიბების მცდელობაში ერთ-ერთი ლაიტმოტივი“ (Kubis *et al.,* 2005, p. 148). სამოქალაქო პრინციპი შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ტრანსპორტი, რომელმაც ჩეხეთი დააბრუნა ევროპაში ევროპულ ერ-სახელმწიფოდ და ხელი შეუწყო დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას (*იქვე*, გვ. 148). მისი იდეა კარგად არის წარმოდგენილი ჩეხეთის ახალ კონსტიტუციაში და ხაზს უსვამს წარმოდგენას, სადაც „თავისუფალი და თანასწორი მოქალაქე წარმოადგენს სახელმწიფოს საფუძველს“ (Nedelsky, 2003, p. 90). ეს კონცეფცია ასევე მხარდაჭერილია ჩეხეთის პრემიერ-მინიტრის ვაცლავ კლაუსისა (1992-1997) და პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის (1993-2003) განცხადებებში. მაშინ, როდესაც პირველი აცხადებდა, რომ „სახელმწიფოს საფუძველი არის თავისუფალი მოქალაქე“, მეორე ამის თაობაზე ჯერ კიდევ „77 დისიდენტის ქარტიაში“ წერდა:

> “მოვითხოვთ რეალურ მოქალაქეობაზე დაბრუნებას, სადაც მთავრობის ლეგიტიმაცია ეფუძნება ყველა მოქალაქის თანხმობას და რომლის ძალაუფლებაც შეზღუდულია ახალი ინდივიდის სამოქალაქო უფლებებით” (*იქვე*, გვ. 93-94).

შესაბამისად, სამოქალაქო იდეა შეგვიძლია მივიჩნიოთ ჩეხური ეროვნული იდენტობის პოლიტიკური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ელემენტად. კიდევ ერთი ინსტრუმენტი დაკავშირებული იყო „სხვასთან“, რომლის როლს კვლავ სუდეტელი გერმანელები თამაშობდნენ, როგორც ეს შემდეგ ქვეთავშია წარმოჩენილი.

სამოქალაქო პრინციპი და გერმანელები

სუდეტელი გერმანელებისგან შექმნილი „სხვა“, რომლებიც შევიწროებულები იყვნენ კომუნისტური რეჟიმის პერიოდში, კვლავაც გამოიყენებოდა ჩეხეთის პოლიტიკური ელიტის მიერ ეროვნული იდენტობის მშენებლობის პროცესში. 1996 წელს, გერმანელების გაძევების საკითხთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ვნებათაღელვისას, ვაცლავ კლაუსმა კვლავ შეინარჩუნა ეს პოლიტიკა და უარი თქვა თავის გამოსვლებში ტერმინ „სუდეტელის“ გამოყენებაზე (Wingfield, 2000, p. 256). მისგან განსხვავებით, ვაცლავ ჰაველი შედარებით ფრთხილად ეკიდებოდა ამ თემას, როდესაც გეგმავდა 1998 წელს გერმანიასთან მეგობრობის ხელშეკრულების რატიფიკაციას. ხელშეკრულებაში ბენეშის დეკრეტის დამატებამ მძაფრი რეაქცია გამოიწვია, განსაკუთრებით, კომუნისტურ პარტიაში, რომლებიც ჰაველს ადანაშაულებდნენ „გერმანული გავლენიანი ჯგუფებისადმი ზედმეტ მორჩილებაში“ (Nicole, 2005, p. 12). შედეგად, სუდეტელი გერმანელების საკითხი გახდა ჩეხეთის რესპუბლიკის პარტიული პოლიტიკის ნაწილი და ევროკავშირში წევრობისთვის მომზადების პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტი. ევროკომისიამ და ევროპარლამენტმა გააკრიტიკა ჩეხეთის პოლიტიკური ელიტა მათი დამოკიდებულების გამო. თუმცა, ეს უკანასკნელნი მტკიცედ აგრძელებდნენ საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას გარე, კერძოდ, გერმანული ჩარევისგან, რამაც საკმაოდ დაძაბა ურთიერთობები ჩეხ საზოგადოებასა და გერმანულ ეთნიკურ ჯგუფს შორის. 2002 წელს კომუნისტური პარტიის ლიდერმა კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება და სუდეტელ გერმანელებს „მოღალატეები და ჰიტლერის მეხუთე კოლონა“ უწოდა.

ჩეხური ეროვნული იდენტობის პოლიტიკური მშენებლობის პროცესში, სოციალურად ორგანიზებული დამახსოვრების და დავიწყების კონცეფციები ის შემდეგი ინსტრუმენტია, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკაში დამოუკიდებლობის შემდეგაც ინარჩუნებდა პოლიტიკურ განგრძობადობას. შემდეგი ქვეთავი ამის ნათელ დემონსტრირებას წარმოადგენს.

ტოტალიტარული რექიმების შესწავლის ინსტიტუტი და ისტორიის პოლიტიზაცია

ტოტალიტარული რეჟიმების შესწავლის ინსტიტუტის 2007 წელს მიღებულ დამფუძნებელ საკანონმდებლო აქტში ვკითხულობთ: „ისინი, ვინც არ იციან საკუთარი წარსული, განწირულები არიან მის გასამეორებლად“ (ISTR, 2007). აქედან გამომდინარე, ამ ორგანიზაციის მიზანია კომუნისტური და ტოტალიტარული რეჟიმების შედეგების შესწავლა და დაარქივება.

თუმცა, უკანასკნელ წლებში ინსტიტუტს ისტორიკოსები ხშირად აკრიტიკებდნენ ისტორიის პოლიტიზებაში. მედიაში გავრცელდა რამდენიმე ასეთი მაგალითი, რომელიც ეხებოდა მილან კუნდერას და ძმებ მაშინებს. კერძოდ, ინსტიტუტი ძმებ მაშინებს ადანაშაულებდა კომუნისტური პოლიტიკური ელიტის წევრების მკვლელობაში, მილან კუნდერა კი კომუნისტების ინფორმატორად მიაჩნდა და მას 1950 წელს კომუნისტური პოლიციისთვის დასავლეთის საიდუმლო აგენტის ვინაობის გამჟღავნებას აბრალებდა (Axisglobe, 2008; Konviser, 2008). ზოგიერთი ისტორიკოსი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ამ ბრალდებებს და აღნიშნავდა, რომ ინსტიტუტის ქმედებები იყო ისტორიის პოლიტიზირება (Axisglobe, 2008). მათი კრიტიკის საფუძველი იყო ის ფაქტი, რომ ბრალდებები ეყრდნობოდა მხოლოდ ჩეხეთის კომუნისტური პოლიციის დოკუმენტს (IWG, 2008). ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რომ ჩეხეთის დაზვერვის სამსახურში ფუნქციონირებდა დეზინფორმაციის დეპარტამენტი, რომელიც „საუკეთესოდ“ მუშაობდა მტკიცებულებების ხელოვნურ შექმნაზე. შედეგად, პოლიტიკის შემმუშავებლები და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები ფრთხილობენ ხოლმე აღნიშნულ ინსტიტუტთან ურთიერთობებში, ვინაიდან „პერსონალური ინფორმაცია შეიძლება შერჩევითად იყოს გამოყენებული პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისთვის“ (Dujisin, 2008). კრიტიკოსები პერიოდულად ითხოვდნენ ინსტიტუტის რესტრუქტურიზაციას, განსაკუთრებით, სოციალურად ორგანიზებულ კოლექტიურ მახსოვრობაზე მისი გავლენის მნიშვნელობის გამო (Rosca, 2006).

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკის შემმუშავებლები კვლავაც აგრძელებენ ისტორიული მოვლენების ინტერპრეტაციაზე გავლენის მოხდენას და პოლიტიკური მიზნებისთვის ისტორიის გამოყენებას.

ვაცლავ კლაუსი და ევროკავშირი

2009 წელს, ევროპარლამენტში ვაცლავ კლაუსის გამოსვლა მნიშვნელოვანია ამ კვლევისთვის. წინა წლებში ვაცლავ კლაუსი წარმოადგენდა ჩეხური ევროსკეპტიციზმის პიროვნულ განსახიერებას და იყო

ნეოლიბერალური დღის წესრიგის მხარდამჭერი, რითაც ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას მისი დამოკიდებულება ევროკავშირისადმი. Hanley (2004) ირწმუნება, რომ ჩეხური იდენტობა თამაშობს „მათი პროგრამის ნეოლიბერალური ასპექტების ლეგიტიმაციის როლს. ჩეხური იდენტობისა და ტრადიციის ასეთი რეინტერპრეტაციები ჩვეულებრივ ხაზს უსვამდა ნეოლიბერალიზმსა და თავისუფალ ბაზართან ჩეხების წარმოდგენით კულტურულ კავშირს“ (გვ. 521). შესაბამისად, ის შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც ჩეხი ელექტორატის მობილიზების სტრატეგია, ან Hanley სიტყვებით, „როგორც წევრობით გამოწვეული საფრთხის პირისპირ კლიენტალისტური ერთობების შენარჩუნების თვით-დაინტერესებადი სურვილი“ (იქვე, გვ. 515).

ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ ვაცლავ კლაუსმა თავის სიტყვაში ყურადღება გაამახვილა ეკონომიკაში კონტრ-პროდუქტიული ბარიერების მოხსნის საჭიროებასა და ისეთი ეკონომიკური სისტემის დანერგვაზე, რომელიც ხელს უწყობს კეთილდღეობას. მან ასევე ევროკავშირი დაადანაშაულა ეკონომიკაში არაპროპორციულ ინტერვენციასა და ბაზრების შემავიწროებელი ეკონომიკური სისტემის მხარდაჭერაში. ვაცლავ კლაუსის განცხადებებს ჰქონდა ჩეხების მობილიზების ფუნქცია. იგი ამას აკეთებდა მათ გრძნობებსა და შიშებზე თამაშით, შედეგად, ახდენდა მათ მობილიზებას და მისი ნეო-ლიბერალური დღის წესრიგის მხარდასაჭერად მათზე გავლენას. კლაუსი ამას ახერხებდა ასევე ჩეხების შინაგან სურვილებზე ფოკუსირებით და ადამიანის თავისუფლების, კეთილდღეობისა და დემოკრატიისადმი მათი განუზომელი სურვილის გამოყენებით. შესაბამისად, იგი მიმართავდა მათ კოლექტიურ მახსოვრობას, როდესაც ერთმანეთთან აკავშირებდა ჩეხების ეროვნულ იდენტობასა და იმ ისტორიულ ნარატივს, რომელიც ჯერ კიდევ საუკუნეების წინ არსებობდა - „ჩეხეთის სახელმწიფოებრიობის ისტორიული ზენიტი, როდესაც იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც აღმოცენდა და განვითარდა ევროპული აზროვნება, ევროპული კულტურა და ევროპული ცივილიზაცია“ (Klaus, 2009). კლაუსმა აგრეთვე გაავლო მკაფიო საზღვრები ევროკავშირში დემოკრატიულობის დეფიციტის აღნიშვნით, ჩეხ მოქალაქეებსა და ევროკავშირის პოლიტიკას შორის დიდი მანძილის ხაზგასმით, დემოკრატიული ანგარიშვალდებულების დაკარგვასა და პირდაპირ არარჩეულების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე საუბრით. ამ მხრივ საინტერესოა, რომ მან კვლავ გაამახვილა ყურადღება წარსული შიშების კოლექტიურ მახსოვრობაზე, რომლებიც, მისი რიტორიკის მიხედვით, კვლავ ძლიერდებოდა ევროკავშირთან ერთად, რომელიც, თავის მხრივ, სათანადო პატივს არ სცემდა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეების სურვილს.

კლაუსის რიტორიკა ჰგავს ევროკავშირის ინტეგრაციისადმი მის ევრო-რეალისტურ დამოკიდებულებას ჯერ კიდევ 2001 წელს, როდესაც იგი, ჩეხური ეროვნული ინტერესების პრიორიტეტად მიჩნევით, ხაზს უსვამდა ინდივიდუალური ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საჭიროებას. ამით მას ეროვნული იდენტობის მშენებლობა გადააქვს პარტიული პოლიტიკის სფეროში იმ მიზნით, რომ გააძლიეროს კონკრეტული პოლიტიკური დღის წესრიგი (Nicole, 2005. p. 18), და შესაბამისად, ახდენს ასევე ჩეხური ეროვნული იდენტობისა და ისტორიის პოლიტიზირებას.

4.4. დასკვნა

როგორც ზემოხსენებულმა მაგალითებმა აჩვენა, გამორჩეული ჩეხური ეროვნული იდენტობის პოლიტიკური მშენებლობა ემსახურებოდა პოლიტიკურ ელიტას მათი პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმაციის პროცესში. ჩეხური ეროვნული იდენტობა ყალიბდებოდა ისტორიული ნარატივის ხელახალი ჩამოყალიბებით ან პოტენციურ მტერთან მიმართებაში ფორმირებით. უფრო მეტიც, ახალი სოციალური იდენტობების, კულტურული ფასეულობებისა და სიმბოლოების შენარჩუნება და შექმნა არის პოლიტიკური ინსტრუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ მობილიზებასა და გავლენის მოხდენას, არამედ ასევე დამახსოვრებას ან დავიწყებას. მართლაც, როგორც ფრანგი ისტორიკოსი ერნესტ რენანი ამბობდა, „დავიწყებადობა და ისტორიული შეცდომებიც კი ერის უმთავრესი ფაქტორებია“ (Wingfield, 2000, p. 257). საბოლოო ჯამში, იდენტობების პოლიტიკური მშენებლობის ამ პროცესს მივყავართ ისტორიული ფაქტების ხელახალ ინტერპრეტაციამდე და შესაბამისად, ასევე ისტორიის გადაწერამდე. ეს ვითარება სრულებით შეესაბამება ჩეხეთის რესპუბლიკის კომუნისტურ წარსულს და ახლოს არის თანამედროვე ჩეხური პოლიტიკის პრაქტიკასთანაც.

5. დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვაკეთში ეროვნული იდენტობის მშენებლობა იმართებოდა პოლიტიკური საჭიროებებით იმ მიზნით, რომ შესაბამის პოლიტიკურ რეჟიმებს თავიანთი ქმედებების და წარსული შეცდომების ლეგიტიმაცია მოეხდინათ. პოლიტიკურმა და აკადემიურმა/საგანმანათლებლო ელიტებმა სოციალურად ორგანიზებული დამახსოვრებითა და დავიწყების მეშვეობით მოახდინეს ისტორიის ხელახალი ინტერპრეტაცია და გავლენა იქონიეს ისტორიის წერაზე. დამახსოვრების მხრივ, ერი-სახელმწიფოს საფუძველისა და განვითარების პოზიტიური ნარატივი დაუკავშირეს არსებული რეჟიმის ფასეულობებსა და ნორმებს. სიმბოლოები და ახალი საზოგადოებრივი ადგილებისა და სახელების გამოგონება მხარს უჭერდა ასეთ პოზიტიურ იერსახეს. ერთიანი ენის სამართლებრივად განსაზღვრისა და მნიშვნელოვანი პრინციპებისა და ფასეულობების განვითარების გამო, კონსტიტუციები ასევე მნიშვნელოვანი ელემენტი იყო გამორჩეული ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ასახული იყო აგრეთვე კონსტიტუციასა და სიტყვით გამოსვლებში, იყო ცნება „სხვის“ (ხელახალი) გამოგონება და მასთან შეპირისპირებით ეროვნული იდენტობის გაძლიერება. ამ პროცესებში პოლიტიკური ელიტები ახდენდნენ ისტორიის წერაზე გავლენასა და ისტორიის თავისებურ ინტერპრეტაციას.

თუმცა, ისტორიის ხელახალი ინტერპრეტაცია ხორციელდებოდა ნეგატიურ კონტექსტშიც, მაგალითად, ისტორიკოსების და დისიდენტი ინტელიგენციის წევრების გარიყვით, მათზე ზეწოლითა და რეპრესიებით.

ჩეხეთის რესპუბლიკისა და სლოვაკეთის მაგალითებში აღმოვაჩინე დიადი ნარატივი, რომელიც დაკავშირებული იყო კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან. კერძოდ, გერმანული უმცირესობა თამაშობდა მაიდენტიფიცირებელ ფაქტორს ჩეხეთის რესპუბლიკაში მაშინ, როდესაც სლოვაკეთში ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესის ადრეულ ეტაპზე იგივე ფუნქცია ჰქონდათ უნგრელებს. ორივე ქვეყანაში ზემოხსენებულ პერიოდებში ცნება „სხვა“ მუდმივად გამოიყენებოდა როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი.

ორივე ქვეყნის შემთხვევაში ენა (როგორც სამართლებრივი/კონსტიტუციური, ისე პოლიტიკური) იყო იდენტობის მთავარი გამოხატულება. უფრო მეტიც, თავიანთი დღის წესრიგების მორგების მიზნით, ელიტებს ჰქონდათ დიადი ნარატივებით სხვადასხვა პერიოდების დაკავშირების ტენდენცია.

თუ დავუბრუნდებით ჯეიმს იანგის სიტყვებს, რომლებიც მოყვანილია შესავალში, უფრო ნათელი გახდება მახსოვრობის მოტივები, რომლებსაც სხვადასხვა პოლიტიკური ელიტები იყენებდნენ ეროვნული იდენტობის ფორმირებისას. მართლაც, როგორც ჩანს, სწორია არგუმენტი, რომ კოლექტიური იდენტობა არასდროს ფორმირდება ვაკუუმში, არამედ ვითარდება პოლიტიკური ლეგიტიმაციის მცდელობების საფარქვეშ.

იმის ჩვენებით, თუ როგორ აშენებდნენ პოლიტიკური ელიტები შესაბამის ეროვნულ იდენტობებს თავიანთი ქმედებების ლეგიტიმაციისთვის ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთსა და ჩეხოსლოვაკეთში, ლოგიკურია დასკვნა, რომ ეროვნული იდენტობის მშენებლობა მართლაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიის პოლიტიკურ ინტერპრეტაციასთან და ისტორიის წერის პროცესთან.

6. ბიბლიოგრაფია

Anderson, B. (1983). *Imagined Communities*. London & New York: Verso.

Axisglobe (2008). *Historians leaving Czech Institute for Study of Totalitarian Regimes*. Axis Information and Analysis. Global Challenges Research Retrieved on 15 January 2016 from: http://www.axisglobe.com/article.asp?article=1720

Baer, J. (2008). “Czech national identity - An exit factor from totalitarianism?” In: Backes, U.; Jaskulowski, T. & Polese, A. (Eds.) (2008). *Totalitarismus und Transformation: Defizite der Demokratiekonsolidierung in Mittel- und Osteuropa*, pp. 305-334. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht. Retrieved on 19 January 2016 from: http://tinyurl.com/yk9yoe3

Bakke, E. (2004). *The Making of Czechoslovakism in the first Czechoslovak Republic*. In: Wessel, M. S. (2004, *ed.*), *Loyalitäten in der Tschechoslowakischen Republik 1918–1938. Politische, nationale und kulturelle Zugehörigkeiten*. München: R. Oldenbourg Verlag.

Bibo, D. (1998). *History and Czech - Linguistics*. Retrieved on 17 January 2016 from: http://linguistics.byu.edu/classes/ling450ch/reports/czech.html

Bilek, A. P. (2009). Czech Literature in the Post-Communist Era: The Socio-Cultural Context. Charles University Prague. Retrieved on 15 January 2016 from: www.transcript-review.org/en/issue/transcript-6--czech-/contemporary-czech-prose-writers

Bryant, C. (2000). Whose Nation? Czech Dissidents and History Writing from a Post-1989 Perspective. *History and Memory*, 12.

Brodsky, J. (2004). *Czech identity and returning to Europe*. Retrieved on 15 January 2016 from: www.publikon.com/application/essay/276_2.pdf

Constitution of the Czechoslovakia (1920). Retrieved on 15 January 2016 from: www.psp.cz/docs/texts/constitution_1920.html

Deutsch, K. (1957). *Political Community and the North Atlantic Area*. Princeton: Princeton University Press.

Dujisin, Z. (2008). *CZECH REPUBLIC: Communism Alive, Despite Isolation*. Retrieved on 24 January 2016 from: www.ipsnews.net/news.asp?idnews=44103

Esbenshade, R. S. (1995). Remembering to Forget: Memory, History, National Identity in Postwar East-Central Europe. *Journal of Representations*, 49, pp. 72-96.

Goff, P. & Dunn, K. (2004). *Identity and Global Politics*. New York: Palgrave MacMillan.

Hanley, S. (2004). From Neo-liberalism to National Interests: Ideology, Strategy, and Party Development in the Euroscepticism of the Czech Right. *Journal of East European Politics and Societies*, 18, pp. 513-548.

ISTR (2007). *Founding Law: Act No. 181/2007 Coll*. Retrieved on 25 January 2016 from: www.ustrcr.cz/en/act-no-181-2007-coll

IWG (2008). *Czech Documents Purport to Show Author Milan Kundera Was an Informer*. Retrieved on 25 January 2016 from: www.internetwritingjournal.com/tags/authors

Jukarainen, P. (2003). Definitely not yet the End of Nations: Northern Borderlands Youth in Defence of National Identities. *Young*, 11 (3), pp. 217-234.

Karlsson, K. G. (2007). "Public uses of history in contemporary Europe". In: *Contemporary History on Trial. Europe since 1989 and the role of Expert Historians*. Manchester, Manchester University Press, pp. 27-45.

Klaus, V. (2009). Speech of the President of the Czech Republic Václav Klaus in the European Parliament, Brussels. Retrieved on 21 January 2016 from: www.klaus.cz/Klaus2/asp/clanek.asp?id=88EY96UW9zlp

Konviser, B. I. (2008). *Writing the history books - Is the Institute for the Study of Totalitarian Regimes producing legitimate scholarship or pursuing a political agenda?* Retrieved on 25 January 2016 from: www.globalpost.com/dispatch/czech-republic/090805/the-institute-the-study-totalitarian-regimes

Kubis, K. *et al.* (2005). "Czech Republic: Nation formation and Europe". In: Ichijo, A. & Spohn, W. (*eds.*). *Entangled Identities - Nations and Europe.* Hampshire: Ashgate Publishing Company, pp. 137-153.

Laffan, B. (1996). The Politics of Identity and Political Order on Europe. *Journal of Common Market Studies*, 34 (1), pp. 81-102.

Malová, D. & Mego, P. (2000). "Slovakia: National Consciousness from Denied Autonomy". In: Hagendoorn, L. et al. (2000). *European Nations and Nationalism*, (*eds.*). England: Ashgate Publishing Ltd.

McGoldrick, D. (2000) "The Tale of Yugoslavia: Lessons for Accommodating National Identity in National and International Law". In: Tierney, S. (*ed.*). *Accommodating national identity- New Approaches in international and domestic law*. The Hague: Kluver Law International, pp. 13-64.

Nedelsky, N. (2003). Civic nationhood and the challenges of minority inclusion. The case of the post-communist Czech Republic. *Journal of Ethnicities,* 3, pp. 85-93.

National Anthem of the Slovak Republic. Retrieved on 25 January 2016 from: www.prezident.sk/?anthem-of-the-slovak-republic

Nora, P. (2001, *ed.*). *Rethinking France*. Chicago: University of Chicago Press.

Rosca, I. (2006). *Organising a public information space about the crimes of a totalitarian regime*. Retrieved 3 February 2016 from: www.instac.es/inscit2006/papers/pdf/392.pdf

Rupnik, J. (2008). 1968: The year of two springs. Retrieved on 6 March 2016 from: www.eurozine.com/pdf/2008-05-16-rupnik-en.pdf

Rupnik, J. (1981). Historians' notebook. The Politics of History-Writing in Czechoslovakia. *History Workshop Journal,* 11 (1), pp, 166-168.

Skobla, D. (2001). *Slovak National Identity, Slavophilia and Europe*. St. Petersburg Center for the History of Ideas. Retrieved on 7 March 2016 from: www.ideashistory.org.ru/pdfs/18Skobla.pdf

Triandafyllidou, A. (1998). National identity and the 'other'. *Ethnic and Racial Studies*, 21 (4), pp. 593-612.

Updike, J. (2009). The Book of Laughter and Forgetting. Review of Book of Kundera, M. (1978). Retrieved on 24 January 2016 from: www.kundera.de/english/Bibliography/The_Book_of_Laughter_and_Forge/the_book_of_laughter_and_forge.html

Vlachova, K. & Rehakova, B. (2009). Identity of non-self-evident nation: Czech national identity after the break-up of Czechoslovakia and before accession to the European Union. *Journal of Nations and Nationalism*, 15 (2), pp. 254-279.

Wingfield, N. M. (2000). The Politics of Memory: Constructing National Identity in the Czech lands, 1945-1948. *Journal of East European Politics and Societies*, 14 (2), pp. 246-267.

Wodak, R., Cillia, R., Liebhart, K. & Reisigl, M. (2009). *The Discursive Construction of National Identity*. 2nd Edition. Edinburgh: Edinburgh University Press.